ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

25 ივლისი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 139 (10 552) ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ჩემპიონატი რაგბში

ეროვნული ლიგა ● V-IX ადგილები

ბოლო ორი ტურის შეხვედრებს პრაქტიკულად აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. გასარკვევი იყო მხოლოდ იმ „უიღბლოს“ ვინაობა, რომელიც ეროვნულ ლიგას უნდა გამოსთხოვებოდა. ეს, „სამკვდრო-სასიცოცხლო“ საკითხი, კერძოდ, თბილისის „რაშისა“ და „აკადემიის“ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ მატჩი ფრედ — 15:15 დამთავრდა.

მანამდე „აკადემია“ დამარცხდა „ყოჩებთან“ — 3:32, ხოლო „რაში“ მატჩის გამართვის თარიღის არევის გამო ვერ შეხვდა ჭიათურის „იმერეთს“ და ეს შეხვედრა მოგვიანებით გაიმართება. მაგრამ „რაშს“ მაინც არაფერი ეშველება: გამარჯვების შემთხვევაში მას და „აკადემიას“ ქულათა თანაბარი რაოდენობა უგროვდებათ, დებულების თანახმად კი უპირატესობა „აკადემიას“ მიენიჭება, რომელსაც ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს. ასე რომ, გაისად „რაში“ პირველ ლიგაში იასპარეზებს.

თბილისის „მიმინომ“ სძლია „ყოჩებს“ — 22:7.

დღეისათვის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

		თ	მ	ფ	წ	ქ
5.	„ყოჩები“	12	5	3	4	30
6.	„მიმინო“	12	5	1	6	28
7.	„იმერეთი“	11	3	1	7	21
8.	„აკადემია“	12	2	1	9	18
9.	„რაში“	11	1	1	9	14

უფრო დაწვრილებით

შვიდეულიც ასეთი უნდა!

გუშინ ჩვენ ვიუწყებოდით ბადენ-ბადენის ტრადიციულ საჭადრაკო ფესტივალზე საქართველოს შვიდივე წარმომადგენლის ბრწყინვალე წარმატების შესახებ. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა მოჭადრაკეებმა პირველი შვიდი ადგილი დაიკავეს ამ საჭადრაკო ფორუმზე.

გვესაუბრება ფესტივალის მონაწილე, საერთაშორისო დიდოსტატი ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი: პირადად მე ტურნირი წარუმატებლად დავიწყე — წავაგე პირველივე პარტია და მხოლოდ IV ტურიდან შევუერთდი ლიდერთა ჯგუფს. ასეთ ტურნირში პირველი შეხვედრის წაგება ამოსუნთქვის საშუალებას არ იძლევა. ფესტივალზე, საერთოდ, როგორც წესი, ბევრი მოჭადრაკე იყრის თავს, ამიტომ ტურნირი ტარდება შვეიცარიული სისტემით — 9 ტურად. 9-დან 8 ან 7,5 ქულა ასეთ ტურნირებში საკმარისი აღმოჩნდება ხოლმე პირველი ადგილის დასაკავებლად. ამჯამად 7,5 ქულა გახდა „გამსვლელი“. ნახევარი ქულა ძალზე ფასობს, 7-ქულიანებმა, მაგალითად, V-X ადგილები გაიყვეს, აქედან V,VI და VII ჩვენი მოჭადრაკეები იყვნენ.

პარტიებს ყოველდღიურად ვთამაშობდით, შესვენების გარეშე, 6-საათიანი რეგლამენტით. ამიტომ ტურნირი მომქანცველი იყო. ფინიშზე 18 საათი გადაბმულად ვითამაშე. ამაში შედის რეგლამენტით „გათვალისწინებული“ 6-საათიანი პარტია, პლუს მეორე დილით იმავე პარტიის გაგრძელება — 4 საათი, პლუს ახალი პარტია — 4 საათი, პლუს ისევ გადადებული პარტიის დამთავრება — 4 საათი. აქედან ერთ პარტიას მოვანდომე 14 საათი. დასვენების დღე არ გვქონდა, ყოველდღე ვთამაშობდით.

ბოლო ტურის წინ 7-7 ქულით წინ ვიყავით მე და ზურაბ სტურუა, დაწევის შანსი კი 6 მოჭადრაკეს ჰქონდა. სტურუამ და მე ყაიმით დავამთავრეთ შეხვედრა, რაც პირველი ადგილის გაყოფის გარანტიას იძლეოდა. ნინო გურიელმა შავებით დაამარცხა ყოფილი რიგელი მოჭადრაკე გუტმანი (გერმანია), გია გიორგაძემ თეთრებით მოუგო ლაშა ჯანჯღავას: ბოლო ტურის პარტიები მოიგეს აგრეთვე ქეთინო კახიანმა და გენადი ზაიჩიკმა, რითაც მეხუთე ადგილი გაიყვეს.

წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატი სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ყურადღების ცენტრშია

ფოთში წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარება ჩვენი რესპუბლიკის პრესტიჟთანაა დაკავშირებული და ამიტომაც განსაკუთრებით იზრდება საერთო პასუხისმგებლობა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახლავთ პრესცენტრის გამართული მუშაობა. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდიუმმა ეს საკითხი საგანგებოდ განიხილა. ცნობადაა მიღებული, რომ საორგანიზაციო კომიტეტთან შეთანხმებულად წყდება ჟურნალისტთა მიღება-დაბინავების, მათთვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნის საკითხები. პრეზიდიუმმა ფოთში წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის პრესცენტრის ხელმძღვანელად დაამტკიცა გაზეთ „ლელოს“ რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისა და წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის პრესცენტრის განცხადება

წინასწარი განაცხადები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატზე ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის უნდა წარმოადგინონ 1 აგვისტომდე. მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, „ლელოს“ რედაქცია.

სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების წინ

მაყურებელი სულ სხვა ეშხს აძლევს შეჯიბრებას

საწყლოსნო სახეობებში ასე მოხდა: გაერთიანება, რომელიც სპორტსახკომის დროს არსებობდა, საქართველოს სპორტის საკავშიროდან მთლიანად გამოყოფისთანავე გაუქმდა. იგი უნდა გარდაქმნილიყო ფედერაციად, რომელიც უხელმძღვანელებდა რესპუბლიკაში ცურვის, წყალში ხტომისა და წყალბურთის განვითარებას, ყველა რანგის ტურნირებისათვის გუნდების მომზადებას, შეჯიბრებებში მათ მონაწილეობას; იზრუნებდა ბაზების, ინვენტარის, ერთი სიტყვით, ყველაფრისათვის, რაც ხელს შეუწყობდა ამ სახეობების მასობრივ განვითარებასა და საქვეყნოდ წარმოჩენას.

ასეა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში — ერთი ფედერაცია უდგას სათავეში ყველა ამ სახეობას. ამ პრინციპზეა აგებული ევროპისა და მსოფლიოს ფედერაციებიც. ჩვენთან კი... მეოთხე თვეა ვერ მოხერხდა ერთიანი, მძლავრი ფედერაციის შექმნა თურმე მხოლოდ იმიტომ, რომ წყალბურთელებს სურთ ავტონომია. ჯერჯერობით ასე უთავოდ ანუ უფედერაციოდ არიან დარჩენილნი წყალში მხტომელები, მოცურავეები და წყალბურთელები, არადა, ნებისმიერ ფედერაციას განთავისუფლების გზაზე მდგარი რესპუბლიკის სინამდვილეში იმდენი პრობლემა აქვს გადასაჭრელი, რომ ყოველი დღის დაკარგვა კიდევ უფრო გაართულებს საქმეს.

— გარკვეულ-გამოკვეთილი ამოცანა არ გვაქვს. ინერციით ვმუშაობთ, ძველი გეგმებით, — გვიყვება ყოფილი საწყლოსნო სახეობების გაერთიანების უფროსი მწვრთნელი ცურვაში ალექსანდრე ტუტაკაევი, — ფაქტია, ცურვა, ჩვენი რესპუბლიკის ერთი ყველაზე ჩამორჩენილი სახეობაა. აღარ გვყავს საერთაშორისო კლასის სპროტსმენები. ამას სხვა უამრავი მიზეზიც აქვს, მაგრამ წარმმართველის უყოლობაც ერთობ უარყოფითად მოქმედებს.

● **როგორ აპირებთ სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების პროგრამით ცურვაში შეჯიბრების ჩატარებას?**

— გადაჭრით ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ისე კი, ბოლოს ჯოხი ჩვენზე რომ არ გატყდეს, რეგიონებს უკვე დავუგზავნეთ დებულებები: ქუთაისს, გორს, ბათუმს, ხონს, ზუგდიდს, რუსთავს, ტყიბულს, ზესტაფონს, ბორჯომს... სამწუხაროდ, დასტური — ატარებენ თუ არა რეგიონალურ შეჯიბრებებს და როდის, არ მიგვიღია. უეჭველია, ასპარეზობანი რამდენიმე რეგიონში მაინც გაიმართება. ჩვენ მზად ვართ დახმარებისათვის.

ვვარაუდობთ, რომ ფინალურ

იხ. მე.2 გვ

სპორტის ოლიმპიური სახეობები ერთ მწკრივში

თავისუფალი ჭიდაობა

ჯერ ერთი, ასეთი სტატისტიკა: ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ჰყავს თერთმეტი პრიზიორი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში კი 15-15. ეს ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რა თქმა უნდა, ბრწყინვალე მაჩვენებელია, მით უფრო თუ ამ მედლების კლასიფიკაციასაც მოვახდენთ და უფრო ნათლად წარმოვაჩენთ ყოველი სპორტსმენის დამსახურებას. მაგრამ ჯერ ტურნირების მაჩვენებლებს გადავხედოთ.

	ო.	ვ.	ბ.
ოლიმპიური თამაშები	5	4	4
მსოფლიო ჩემპიონატები	18	11	6
ევროპის ჩემპიონატები	16	8	6

ახლა პრიზიორთა შესახებ უფრო კონკრეტულად.

ოლიმპიური თამაშები

ლევან თედიაშვილი	2	—	—
დავით ციმაკურიძე	1	—	—
მირიან ცალქალამანიძე	1	—	—
დავით გობეჯიშვილი	1	—	—
გიორგი სხირტლაძე	—	1	1
გურამ სალარაძე	—	1	—
შოთა ლომიძე	—	1	—
ლერი ხაბელოვი	—	1	—
ვახტანგ ბალავაძე	—	—	1
ვლადიმერ რუბაშვილი	—	—	1
ნოდარ ხოხაშვილი	—	—	1

მსოფლიო ჩემპიონატები

ლევან თედიაშვილი	4	1	—
ლერი ხაბელოვი	3	—	—
გურამ სალარაძე	2	2	—
ვახტანგ ბალავაძე	2	1	—
დავით გობეჯიშვილი	2	1	—
შოთა ლომიძე	2	1	—
ზარბეგ ბერიაშვილი	1	3	—
გიორგი სხირტლაძე	1	1	—
ვლადიმერ რუბაშვილი	1	—	—
მირიან ცალქალამანიძე	—	1	1
ნიკოლოზ მუზაშვილი	—	—	1
სერგო გაბარაევი	—	—	1
ვლადიმერ არსენიანი	—	—	1
ტარიელ ალიბეგაშვილი	—	—	1
ნოდარ ხოხაშვილი	—	—	1

ევროპის ჩემპიონატები

ზარბეგ ბერიაშვილი	3	—	—
ლევანი თედიაშვილი	3	—	—
ლერი ხაბელოვი	3	—	—
შოთა ლომიძე	2	1	—
ანდრო ცხოვრებოვი	1	—	1
ნოდარ მოდებაძე	1	—	—
რაშ ხუტაბა	1	—	—
დავით გობეჯიშვილი	1	—	—
ზაზა თურმანიძე	1	—	—
ნოდარ ხოხაშვილი	—	1	—
რომან მარსაგიშვილი	—	1	—
გიორგი მაკასარაშვილი	—	—	2
გურამ სალარაძე	—	—	1
როინ დობორჯგინიძე	—	—	1
დავით გიგაური	—	—	1

გულახდილი საუბარი

...მე მხარს არავინ მიჭერდა

გულახდილად უნდა გითხრათ, არ მეგონა, ქართველები ასეთი გულმავიწყები ვიყავით. არც ის მეგონა, თუ ჩვენში ამაგის დავიწყება იცოდნენ. არადა, ეს ამხელა კაცი, ფოთში დაბადებულ-გაზრდილი ვიქტორ კრატასიუკი ვითომც არ ყოფილა ოლიმპიური ჩემპიონი. ნუთუ ამდენი უმაღლესი რანგის სპორტსმენი გვყავს რეგიონებში, რომ ვიღაც-ვიღაცეები შეიძლება გამოგვრჩეს კიდეც?

გულახდილი საუბრით ყველა ჭრილობის მოშუშება შეიძლება, არადა, ცხოვრებამ ვიქტორ კრატასიუკს რამდენიმე ჭრილობა სამუდამოდ დაამჩნია. მათზე ჩვენი სტუმარი სევდანარევი ღიმილით ლაპარაკობს.

● ვიქტორ, ჯერ იქნებ თქვენ თვითონ, შეკითხვების გარეშე, წარუდგინოთ თავი მკითხველს. საბაიდარო ნიჩბოსნობა ჩვენში დიდად პოპულარული სპორტი არ გახლავთ და პირველწყაროდან მიღებულ ინფორმაციას ყველა სიამოვნებით მოისმენს.

— დავიბადე 1949 წლის 30 იანვარს ფოთში. იქვე დავამთავრე საშუალო სკოლა. უმაღლესი სპორტული განათლება საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მივიღე. ჩემი სპორტული კარიერა უშუალოდაა დაკავშირებული ბრწყინვალე სპორტსმენისა და პედაგოგის ავერი მატკავას სახელთან. ნიჩბოსანთა ბაზაზე შემთხვევით მოვხვდი. ამხანაგებს მივყევი და ერთ მეცადინეობას დავესწარი. მომეწონა. მივედი მწვრთნელთან, ავუხსენი ჩემი სურვილი და თანხმობა მივიღე. მაშინ ყველაფერი მარტივად და ადვილად წყდებოდა ხოლმე.

ფოთში ხშირად ჩამოდიოდნენ საიარჯიშოდ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები. ზოგი მათგანი ოლიმპიური ჩემპიონი იყო, ზოგი — მსოფლიოს ჩემპიონი. ჩვენზე მაგიურ ზემოქმედებას ახდენდა მათი გვარების გაგონებაც კი და, რა დასამალია, ყველას გვინდოდა ისეთივე ჩემპიონები გამოვსულიყავით.

● თუ გახსოვთ თქვენი პირველი წარმატების დეტალები?

— დეტალებს რა მოგახსენოთ, მაგრამ მახსოვს, რომ 1967 წელს მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა მოვიგე ერთადგილიანი ბაიდარებით რბოლაში. მაშინ, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ საქართველოს ნაკრებ გუნდში ჩამრიცხეს და ლენინგრადში გავემგზავრე მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში სასპარეზოდ. იქ საბოლოო ჯამში III საპრიზო ადგილი დავიკავე. ერთი წლის შემდეგ სპორტის ოსტატის ნორმატივი შევასრულე. ეს ნორმატივი დიდ სპორტში თავისებური საგზური გახლდათ. ოსტატობას მიღწეული ახალგაზრდები, ჩვეულებრივ ცხოვრებას აღარ უბრუნდებიან.

● რომელი წელი, ან რომელი შეჯიბრებაა თქვენს ბიოგრაფიაში გადამწყვეტი?

— 1971 წელს საკავშირო სპარტაკიადაზე მე და ჩემი მწვრთნელი ავერი მატკავა გუნდის ინტერესებისათვის დავწყვილდით. ექსპერიმენტმა გაამართლა. მოსკოვში ორ-ორი ოქროს მედალი მოვიპოვეთ, ერთი სასპარტაკიადო ტურნირში, მეორე — საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებისათვის. ამავე სპარტაკიადაზე ჩვენი წყვილი შეუერთდა ხუბერაშვილს, მაქსიმენკოს და ამ კვარტეტმა ოთხადგილიანი ნავების ასპარეზობაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. საკავშირო სპარტაკიადები, მოგეხსენებათ, მუდამ ოლიმპიური თამაშების წინ ტარდება და ნაკრებისთვის არჩევს კანდიდატებს. ამ სპარტაკიადის შემდეგ მებაიდარეთა უფროსი მწვრთნელის იგორ პისარევის წინადადებით მიუნხენის ოლიმპიური თამაშებისთვის დაკომპლექტებულ ნაკრებ გუნდში ჩავირიცხე.

● როგორც ვიცით, თქვენი თანამეწყვილე მიუნხენში ბელორუსიელი ნიკოლოზ გორბაჩოვი იყო. გვაინტერესებს ერთი რამ: რა პრინციპით ხდება წყვილების შერჩევა, არის თუ არა რაიმე განსხვავება პირველ და მეორე ნიჩაბს შორის?

— ჩვენი ნავი მართალია ორადგილიანი იყო, მაგრამ იგი, ფაქტობრივად, ერთ ორგანიზმს წარმოადგენდა. წყვილების შერჩევის დროს ეს არის მთავარი. ორმა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უძლიერესმა ნიჩბოსანმა შესაძლოა ძლიერი ეკიპაჟი ვერც კი შექმნას. იდეალური წყვილი იმას ნიშნავს, როცა ორივე ნიჩბოსანი ერთნაირად ფიქრობს, ერთნაირად სუნთქავს და უსიტყვოდ ესმის ერთმანეთის. ამდენად პირველ და მეორე ნიჩაბს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. უბრალოდ, ერთი ვიღაც უსათუოდ წინ უნდა იჯდეს, მეორე კი მის უკან.

● მიუნხენის ოლიმპიადამდე თქვენმა წყვილმა ალბათ არაერთხელ ჩააბარა გამოცდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მაინც რისკი იქნებოდა ოლიმპიადაზე ექსპრომტად თქვენი გაგზავნა.

— ერთ ნავში მსხდომმა სპორტსმენებმა სინქრონულობის ზღვარს უნდა მიაღწიონ. ეს კი ერთნაირი ტექნიკის ხარჯზე ხდება. ჩვენი წყვილი იმიტომაც იყო ძლიერი, რომ ტექნიკა ორთავეს ერთნაირი აღმოგვაჩნდა. აი ამან განაპირობა, თქვენ წარმოიდგინეთ, ხასიათების ერთობლიობაც. მიუნხენში გამგზავრებამდე გამოცდების ჩაბარება მოგვიხდა ბულგარეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ერთ-ერთი მთავარი გამოცდა იყო ეგრეთ წოდებული კოპენჰაგენის რეგატა, რომელიც ბრწყინვალედ მოვიგეთ.

● ორიოდე სიტყვა თქვენს ოლიმპიურ წარმატებაზე. იქნებ რაიმე ღირსშესანიშნავი დეტალი გაიხსენოთ?

— უცნაური რამ ხდება, როცა რაიმე მიზნის მისაღწევად იბრძვი, გაცილებით უფრო საინტერესოა და მოვლენებით აღსავსე გზა, რომელსაც მიზნისკენ მიჰყავხართ. ჩვენს წყვილს ბევრი რამ გადახდა მზადების პერიოდში, თვით ოლიმპიადამ კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფერულად, ყოველგვარი შინაგანი დაძაბულობის გარეშე ჩაიარა.

● იქნებ იმიტომ, რომ სხვებზე გაცილებით ძლიერნი იყავით?

— შესაძლოა. ყოველ შემთხვევაში ახლა, როცა მინდა რაიმე მომენტი გავიხსენო, არაფერი მომდის აზრად გარდა იმისა, რომ ყოველ რბოლას ადვილად ვიგებდით, თითქოს ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო. საკმაოდ ადვილად გავიმარჯვეთ წინასწარ გაცურვაში, ნახევარფინალში და ფინალში, სადაც ჩვენს გარდა კიდევ რვა ეკიპაჟი ასპარეზობდა და ფავორიტებად უნგრელები და რუმინელები ითვლებოდნენ.

● ოლიმპიადის შემდეგ, თუ არ ვცდებით, მალე დაიშალა თქვენი წყვილი.

— ერთხანს კიდევ ვასპარეზობდით ერთად, თუმცა რაიმე განსაკუთრებული წარმატებისთვის აღარ მიგვიღწევია. მერე, რომ იტყვიან, ნელ-ნელა უკონფლიქტოდ, ტკბილი მოგონებებითა და კეთილი სურვილებით დავიშალეთ. მე ჩემს გზას გავუდექი, გორბაჩოვი — თავისას.

● სანამ თქვენს, ოლიმპიადისშემდგომდროინდელ გზაზე ვისაუბრებდით, ერთი ასეთი შეკითხვა უნდა მოგცეთ: თქვენი კარიერის საუკეთესო წლებში ხომ არ მოუციათ წინადადება სხვა რომელიმე ქალაქში გადასვლაზე?

— წინადადებები, რა თქმა უნდა, იყო, მეტწილად მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან. ობიექტურად ყველაზე რეალური იქნებოდა მინსკს შეეთავაზებინა გადასვლა, ვინაიდან ნიკოლოზ გორბაჩოვი იქ ცხოვრობდა, მაგრამ მან კარგად იცოდა ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. მე ყველას, ვინც ადგილს მთავაზობდა, მოკლედ ვუხსნიდი, რომ იმ მიწას, სადაც ჩემი დედა-მამა ცხოვრობს, სადაც დავიბადე, აღვიზარდე და კაცად ჩამოვყალიბდი, ვერ მივატოვებდი. ამიტომაც მალე მომეშვნენ.

ვიქტორ კრატასიუკი

● რას აკეთებთ მას შემდეგ, რაც აქტიურ სპორტს თავი მიანებეთ?

— ვმუშაობდი მწვრთნელად, მოვამზადე ერთი ოსტატი, რამდენიმე ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი.

აქ შეგნებულად ვწყვეტთ საუბარს ოლიმპიურ ჩემპიონთან და უკვე ჩვენს, სარედაქციო სათქმელს ვამბობთ:

მწვრთნელად მუშაობას ვიქტორ კრატასიუკმა მალე დაანება თავი, იმიტომ, რომ ფოთში „დინამოზე" დაიხურა სანიჩბოსნო ჯგუფები. ამასობაში კრატასიუკების ოჯახი ერთი ორად გაიზარდა. ვიქტორმა ცოლი მოიყვანა, ჰყავს 11 წლის გოგონა, 9 წლის ბიჭი, დედ-მამა ცოცხლები არიან. ერთი სიტყვით, საკმაოდ დიდ ოჯახს მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა. ორი წლის განმავლობაში ვიქტორი ხმელნიცკის ოლქში (უკრაინა) ხელშეკრულებით ასფალტს აგებდა. მანამდე ფოთში მუშაობდა მოტორისტად, ცეცხლფარეშად, შავ მუშად. აპრილიდან არსად მუშაობს.

● კი მაგრამ, როგორ არჩენთ ოჯახს?

— ამჟამად მშობლების პენსიის ამარა ვართ. მაგრამ, ვფიქრობ, ასე დიდხანს არ გაგრძელდება.

● სად მუშაობდით აპრილამდე?

— მოსწავლეთა სახლში ვიყავი ცეცხლფარეში, მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს სეზონური სამუშაოა. გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე ცეცხლფარეში არც ერთ დაწესებულებას არ სჭირდება.

ახალ ხელმძღვანელებზე ჯერ რა უნდა ვთქვათ, მაგრამ ძველების გასაგონად კი ვიტყვით: ნუთუ ფოთში ოლიმპიური ჩემპიონის შენახვა გაუჭირდათ. ნუთუ ბევრი ჰყავდათ ვიქტორ კრატასიუკის მსგავსი სპორტსმენი. ან კიდევ, ნუთუ ამხელა ქალაქში ოლიმპიური ჩემპიონისთვის სამუშაოდ ერთი მყარი ადგილი ვერ გამოძებნეს?

● თქვენთვის ალბათ ძნელია ამ მდგომარეობაში ყოფნა, მით უფრო, რომ მიუნხენის შემდეგ პატივსა და დიდებას იყავით შეჩვეული?

— ოლიმპიადაში გამარჯვების შემდეგ ქების, გამხნევების, მადლობის სიტყვა არავის უთქვამს არც ფოთში, არც თბილისში. ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, ვინმეს რომ წამოსცდენოდა: აი ეს ასანთის კოლოფი შენ, საჩუქრად ჩემო ვიქტორ, იმ სიხარულისთვის, რაც ქართული სპორტის გულშემატკივრებს მოგვანიჭე. მე არასდროს არავინ არ მიჭერდა მხარს. 42 წელს გადაცილებული კაცისთვის ამის აღიარება ცოტა უხერხულიც კია, მაგრამ გულახდილ საუბარს მოჰყვა და ამიტომაც აღარ დავმალე.

● საზღვარგარეთ მუშაობა ხომ არ შეუთავაზებია ვინმეს?

— რომ შეეთავაზებინათ, უსათუოდ წავიდოდი, ვინაიდან ოჯახის მიმართ თავს ვალდებულად ვთვლი.

● ოლიმპიადაზე გამარჯვებისთვის რამე თუ მიიღეთ?

— სპორტის საკავშირო კომიტეტმა პრემიის სახით სამი ათასი მანეთი მომცა. 800 მანეთი დამიქვითეს, დანარჩენი კი ხელზე მივიღე. ეს იყო და ეს. საქართველოს სპორტკომიტეტიდან არაფერი მიმიღია.

● ამ თქვენს აღსარებას, დღეს, დარწმუნებული ვართ, შეისმენენ, ვინაიდან სხვა დრო დადგა. თქვენ თვითონ რას ფიქრობთ თქვენს მომავალზე?

— მე მთელი ცხოვრება ვითმენ, ასე რომ, გაჭირვებით კაცი ვერ გამაკვირვებს. მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პენსია დიდად დამეხმარება. ამიტომაც მთელი ჩემი ოჯახის სახელით მადლობას ვწირავ სეოკ-ს ყურადღებისთვის, სითბოსთვის, ჩემი ძველი ამაგის გახსენებისთვის და დაფასებისთვის.

ნოდარ ახვლედიანი

მოჭადრაკე მედიკოსთა ოჯახი

როგორც ჭადრაკის მრავალრიცხოვან გულშემატკივართათვისაა ცნობილი, შარშან, ივნისში, შეიქმნა საქართველოს მოჭადრაკე მედიკოსთა ასოციაცია. გვესაუბრება ასოციაციის პრეზიდენტი ბატონი რევაზ სიგუა.

— წინათ ხშირად ეწყობოდა როგორც საქალაქო, ისე რესპუბლიკური, პირადი და გუნდური შეჯიბრებები მედიკოსთა შორის, მაგრამ შემდეგ ყველამ მიივიწყა. ჩვენ გადავწყვიტეთ აღგვედგინა ტრადიცია და შევქმენით ასოციაცია. ამ მიზნის განხორციელებაში განსაკუთრებით შეგვეწყო ხელი მედიცინის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა (მაშინდელი თავმჯდომარე სოსო კაციტაძე). ჩვენი მიზანია მოჭადრაკე მედიკოსთა და მოყვარულთა ნებაყოფლობითი გაერთიანება. ამით გვსურს დავეხმაროთ მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და ჭადრაკის პოპულარიზაციას მედიკოსთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს რიგებში არიან ოსტატობის კანდიდატები, ეს სრულიად არ არის საკმარისი.

● დღესდღეობით რამდენი წევრია გაერთიანებული თქვენს ასოციაციაში?

— 42 მოჭადრაკე, მათ შორის ქალებიც არიან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ასოციაციის საპატიო წევრი გახლავთ მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძეც.

● ალბათ, ასოციაციის შექმნისას მრავალი წინააღმდეგობების გადალახვა მოგიხდათ.

— არა, ასოციაციის შექმნისას სირთულეები არ წამოჭრილა. მან მხოლოდ შექმნის შემდეგ იჩინა თავი: არა გვაქვს საკუთარი კუთხე, სადაც შევინახავდით საჭადრაკო ინვენტარს. არ გაგვაჩნია დარბაზი შეჯიბრებების გასამართავად. ისე კი გვპირდებიან, რომ მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლში დაგვითმობენ რამდენიმე ოთახს.

● საინტერესოა, რა გაკეთდა ასოციაციის შექმნის დღიდან?

— გავმართეთ თბილისის პირველობა მოჭადრაკე მედიკოსთა შორის. გამიზნული გვაქვს რესპუბლიკური შეჯიბრებები. ამას გარდა, ამ ერთი წლის განმავლობაში დავამყარეთ კონტაქტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მედიკოს მოჭადრაკეებთან, სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

● იქნებ დაგვიკონკრეტოთ?

— ჩვენი გამგეობის წევრი გახლავთ პროფესორი გივი წიწუაშვილი. მისი თანადგომით დავამყარეთ კონტაქტები ისრაელის მედიკოსმოჭადრაკეებთან, რომლებმაც გუნდური პირველობის ჩატარების სურვილი გამოთქვეს. ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია, მხოლოდ ისაა დასადგენი, თუ სად გაიმართება მატჩი — ისრაელში თუ საქართველოში. ურთიერთობა გვაქვს აგრეთვე პოლონელ მედიკოს მოჭადრაკეებთან.

● სპონსორობის გაწევის სურვილი ხომ არ გასჩენია ვინმეს?

— თავდაპირველად ბევრი ორგანიზაცია გვპირდებოდა სპონსორობას, მაგრამ როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, მხარდამჭერა მხოლოდ ჩვენი სამედიცინო თავისუფალი პროფესიული კავშირისაგან ვიგრძენით. აგრეთვე მოჭადრაკეებმაც საკუთარი ინიციატივით გაიღეს თანხა.

● დაბოლოს, ტრადიციული შეკითხვით მინდა მოგმართოთ — როგორია თქვენი მომავალი გეგმები?

— წლეულს, ოქტომბერში, ჩატარდება საქართველოს ექიმთა ასოციაციის ყრილობა, სადაც მიწვეულნი არიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები და გვინდა გავმართოთ ბლიცტურნირი დელეგატთა მონაწილეობით. შეჯიბრებაში ისპარეზებენ როგორც რესპუბლიკის მოჭადრაკე მედიკოსები, ასევე უცხოელი მოჭადრაკეები. ვფიქრობ, რომ მედიკოს მოჭადრაკეთა წრე გაცილებით გაფართოვდება მას შემდეგ, როცა ასოციაცია უფრო მყარად დადგება ფეხზე და უფრო მეტად იგრძნობს მხარდაჭერას ჩვენი საზოგადოებრიობისაგან, განსაკუთრებით სამედიცინო პროფკავშირის ხელმძღვანელობისაგან.

ესაუბრა თენგიზ ჩობანიძე.

მაყურებელი სულ სხვა ეშხს აძლევს შეჯიბრებას

(დასასრული)

ტურნირზე, თბილისში, მედლების ოცდათორმეტივე კომპლექტი გათამაშდება.

● რა შედეგებს შეიძლება ველოდეთ?

— იმ მდგომარეობაში, როგორშიც ახლა საქართველოს საწყლოსნო სახეობებია, მაღალ შედეგებზე ოცნებაც არ შეიძლება.

● ნუთუ აღარ უნდა გაიზარდონ საქართველოში აღიარებული მოცურავეები?

— ჯერჯერობით ასეთს ვერავის ვხედავ!

● როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?

— უამრავი პრობლემა. მათგან რამდენიმე მთავარს დავასახელებ: აუზების საგრძნობი უკმარობა. მთელს რესპუბლიკაში ორად ორი აუზია, რომელიც ოპტიმალურად მაინც აკმაყოფილებს მოთხოვნებს და ორივე თბილისშია. თუმცა ეს მილიონ სამასი ათასიანი ქალაქისთვისაც ძალზე ცოტაა. სოხუმში საერთოდ არ აქვთ სრულწლიური ვარჯიშის საშუალება; ბათუმში წყალი არ თბება. ასეა ზუგდიდში, ბორჯომში, გორში, რუსთავში, ყველგან...

— წყლის რეგულარული გათბობით ვერც ერთი ჩვენი აუზი ვერ დაიქადნის — საუბარში ჩაერია საქართველოს მოცურავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი კონსტანტინე რეშეტნიაკი — თბილისშიც, დახურულ აუზში, ბოლო 6 თვეა რეგულარული წვრთნა არ ტარდება. სანაპიროზე, ცენტრალურ კომპლექსს არა უჭირს რა, მაგრამ მოზღვავებულ მოვარჯიშეებს ვერ აუდის.

● აუზების უკმარობა ხომ ადრეც გაწუხებდათ..

— რა თქმა უნდა, მაგრამ მაშინ, საკავშირო სტრუქტურებიდან გამოყოფამდე, სხვა რესპუბლიკებს „ვაფარებდით თავს". გვესმის, რომ რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სრულ სტაბილიზაციამდე გაგვიჭირდება, მაგრამ ამას გავუძლებთ: ვეცდებით, სპორტსმენებმა შეინარჩუნონ საბრძოლო განწყობა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ამ პირველ დიდ ღონისძიებაზე — სპორტულ თამაშებზე, არც ტურნირის ორგანიზაციაში ჩავიჭრათ და მონაწილეებმაც გაამართლონ იმედები. ხომ იცით, კაცი იმედით ცოცხლობს. იქ, ფინალურ ასპარეზობაზე, უთუოდ საუკეთესონი იბრძოლებენ გამარჯვებისათვის და დიდად კმაყოფილნი დავრჩებით, თუ საწყლოსნო სარბიელთა ტრიბუნებზე გულშემატკივრებსაც ბლომად ვიხილავთ: მაყურებელი სულ სხვა ეშხს აძლევს შეჯიბრებას...

ესაუბრა ოთარ ივდოშვილი.

შემოკლებულ დისტანციაზე

„ტურ დე ფრანსის“ XVII ეტაპზე ველოსიპედისტებმა ოდნავ შვება იგრძნეს, ვინაიდან დისტანცია ამჯერად საგრძნობლად შემცირებული იყო და მხოლოდ 125 კმ-ს შეადგენდა.

ფინიშის ხაზთან პირველი მიიჭრა იტალიელი ჯანი ბუნიო („შატო დ' აქსი“). მანძილი მან 3:25.48-ში დაფარა. მეორე ადგილი ეტაპზე ესპანელ მიგელ ინდურიანს („ბანესტო“) ხვდა, მესამე — ფრანგ ლიუკ ლებლანკს („კასტორამა“). გამარჯვებულს ისინი შესაბამისად 1 და 2 წამით ჩამორჩნენ.

რბოლას კვლავ ინდურიანი ლიდერობს. ბუნიო მას 3,09 წუთით ჩამორჩება. მომდევნო ადგილებზე არიან: იტალიელი კლაუდიო კიაპუჩი („კარერა“) — მინუს 4,48, ფრანგი შარლ მონტე (რმო) — მინუს 4,57 და ამერიკელი გრეგ ლემონდი („ზეტ“) — მინუს 6,39.

სურათებზე: „ტურ დე ფრანსის“ მონაწილენი სტარტზე (ზევით); „კასტორამას“ მწვრთნელი სირილ გიმარი უკანასკნელ დარიგებას აძლევს გუნდის ლიდერს ლორან ფინიონს (საფრანგეთი).

უცხოური ფეხბურთის ამბები

უმასპინძლებს იტალია

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა იმსჯელა 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის თაობაზე. ეს შეჯიბრება უნდა გამართულიყო ეკვადორში, მაგრამ, ვინაიდან იქ ქოლერის ეპიდემიაა, ეკვადორმა უარი თქვა შეჯიბრების მასპინძლობაზე. ჩემპიონატის ჩატარება შესთავაზეს მექსიკას, მაგრამ მექსიკელებმა ორგანიზაციული სიძნელეები მოიმიზეზეს. საბოლოოდ, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა ეს ჩემპიონატი მოაწყოს იტალიაში წლეულს, 16-დან 31 აგვისტომდე.

გერმანია, ნორვეგია, დანია...

დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში ქალთა შორის, რომლის ფინალური ეტაპის შეხვედრები გაიმართა დანიაში.

გადამწყვეტი მატჩი შედგა გერმანიისა და ნორვეგიის გუნდებს შორის, გაიმარჯვეს გერმანელებმა — 3:1. მესამე ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ დანიისა და იტალიის გუნდები, ანგარიშით 2:1 წარმატება წილად ხვდათ დანიელებს.

ატლანტა — 1996 წლის

ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი

ატლანტა რიგით მესამე ამერიკული ქალაქია, სენტ-ლუისისა (1904 წელი) და ლოს-ანჯელესის (1932 და 1984 წწ.) შემდეგ, რომელმაც ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება მიიღო.

აქ ყალიბდება ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი. მისი თავკაცია ბ. პეინი, 43 წლის იურისტი, რომელიც ატლანტის თამაშების კომიტეტის „უშტატო“ პრეზიდენტია. პეინი ორგანიზაციული ნიჭითა და საქმიანი თვისებებით დაჯილდოებული ენერგიული ადამიანია. ახალგაზრდობაში, ჯორჯიის უნივერსიტეტში სწავლისას, ის ფეხბურთის გუნდში გამოდიოდა. ბევრის აზრით, პეინს დიდი დამსახურება მიუძღვის ოლიმპიადა — 96-ის არჩევნებში ატლანტის გამარჯვებაში. თვითონ პეინი კი, რომელიც უმეტესად „მეს“ ნაცვლად „ჩვენს“ ხმარობს, თვლის, რომ ეს ადგილობრივი პოლიტიკური და ფინანსური ლიდერებისაგან შემდგარი მთელი „გუნდის“ — ენდრიუ იანგის, მეინარდ ჯეკსონისა და ჯორჯ ბასბის ერთობლივი მუშაობის შედეგია. უნდა აღინიშნოს, რომ ატლანტის კანდიდატურის წარდგენა მაღალ პროფესიულ დონეზე იყო ორგანიზებული... ამას გარდა, არჩევნების შედეგებზე გავლენა იქონია პოლიტიკური ხასიათის ზოგიერთმა მოვლენამ.

ატლანტის ოლიმპიადის მოსამზადებელი კომიტეტის პრეზიდენტი იანგი ამერიკის შეერთებული შტატების სახელით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოდიოდა იმ დროს, როდესაც ხელისუფლების სათავეში კარტერის ადმინისტრაცია იყო. იგი აღიარებულია მესამე სამყაროს ქვეყნების პრობლემების უბადლო მცოდნედ და მათი ინტერესების დამცველად. აზიის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ბოლოდროინდელი ვიზიტების შემდეგ მისი პოპულარობა კიდევ გაიზარდა. ვინაიდან ოლიმპიადის დედაქალაქის არჩევნები გასაიდუმლოებული კენჭისყრით ტარდებოდა, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, ვინ რომელ კანდიდატურას მისცა ხმა. ეჭვგარეშეა, რომ სოკ-ის ყველა წევრმა — მესამე სამყაროს ქვეყნების წარმომადგენლებმა — თავისი ხმები ატლანტას მიაკუთვნეს.

საყოველთაოდაა ცნობილი ის ფაქტი, რომ ატლანტა მოქალაქეთა უფლებების დაცვის მოძრაობის აკვანია აშშ-ში. მარტინ ლუთერ კინგი ატლანტაში დაიბადა და იქვე განისვენებს. თავისი როლი შეასრულა იმანაც, რომ ატლანტაში განლაგებულია სამი უმსხვილესი კორპორაცია: ტელეკომპანია სი-ენ-ენი, რომელიც თავისი პროგრამების ტრანსლაციას მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში ახორციელებს, ავიაკომპანია „დელტა“ და ბოლოს, კომპანია „კოკა-კოლა“, რომელიც 1928 წლიდან უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სპორტული შეჯიბრების უცვლელი სპონსორია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „კოკა-კოლამ“ მარტო ატლანტას კი არ გაუწია ფინანსური დახმარება, არამედ სხვა პრეტენდენტ ქალაქებსაც, რაც დაადასტურა კიდეც სოკ-ის პრეზიდენტმა ხ. ა. სამარანჩმა. ეს ფინანსური დახმარება შემდეგნაირად განისაზღვრა: ატლანტას — 475 ათასი დოლარი, ტორონტოს — 125 ათასი დოლარი, მელბურნს — 80 ათასი დოლარი.

1996 წლის 20 ივლისამდე, თამაშების გახსნის დღემდე, ატლანტის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობა მოელის. კერძოდ, მან უნდა გააკონტროლოს სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის მიმდინარეობა, რომელთა ნაწილი ამჟამად ჯერ მხოლოდ მაკეტებსა და კომპიუტერების პროექტებზე არსებობს. ყველაზე დიდი პროექტია 85 ათას ადგილზე განკუთვნილი ოლიმპიური სტადიონი, რომელზეც დაგეგმილია თამაშების გახსნისა და დახურვისადმი მიძღვნილი ცერემონიალების ჩატარება — შეჯიბრებების გამართვა მძლეოსნობაში, ფინალური მატჩები ფეხბურთში, აგრეთვე საჩვენებელი გამოსვლები. ამ სპორტული ნაგებობის მშენებლობა ორგკომიტეტს 150 მილიონი დოლარი დაუჯდება. ოლიმპიური თამაშებისთვის უნდა აშენდეს 23 მილიონ დოლარად ღირებული საცურაო აუზი 15 ათას მაყურებელზე, სადაც შეჯიბრებები გაიმართება წყალში ხტომასა და ცურვაში; აგრეთვე ხუთი ათას ადგილიანი სტადიონი ატლანტის უნივერსიტეტის სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე, სადაც შეჯიბრებები ბალახის ჰოკეიში ჩატარდება. გარდა ამისა, სტოუნ მაუნტინ პარკის ტერიტორიაზე დაგეგმილია 10 ათას ადგილიანი ველოტრეკისა და სასროლეთის აგება, რომელთა საერთო ღირებულება 20 მილიონ დოლარს შეადგენს. ჯორჯიის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გადაწყვიტეს ოლიმპიური სოფლის გაშენება 15 ათასი სპორტსმენისთვის. მისი მშენებლობა 60 მილიონ დოლარად არის შეფასებული. ორგკომიტეტის ვარაუდით, ოლიმპიური სოფლის სპორტნაგებობათა თანხა 18,4 მილიონი დოლარია, უშუალოდ თამაშების ჩატარებისთვის საჭირო დანახარჯი 587 მილიონი დოლარით განისაზღვრება, ოლიმპიური თამაშების გამართვასთან დაკავშირებული საერთო თანხა კი ერთ მილიარდ დოლარს შეადგენს. სავარაუდოა, რომ მოგებამ 1 მილიარდ 162 მილიონ დოლარს მიაღწიოს. მოგების უდიდესი ნაწილი „ტელენებართვათა“ გაყიდვის ხარჯზე მოდის (549 მილიონი დოლარი), აგრეთვე სპონსორებისგან (324 მილიონი დოლარი) და ბილეთების გაყიდვისგან (171.1 მილიონი დოლარი). ვარაუდობენ, რომ ატლანტაში 1996 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების შედეგად მიღებული მოგება 157,1 მილიონ დოლარს შეადგენს. ამ თანხას რამდენიმე სპორტული ორგანიზაცია გაინაწილებს, რომელთა შორის არიან აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და სამოყვარულო სპორტული ფედერაციები; თანხის ნაწილი მოხმარდება აგრეთვე ჯორჯიაში მასობრივი სპორტის პროგრამის დაფინანსებას.

ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ პირველი ორი წლის განმავლობაში, სანამ ტელეკომპანიებიდან (რომლებმაც თამაშების ტრანსლაციის უფლება იყიდეს) არ შემოვა თანხები, შესაძლებელია ფინანსური სიძნელეები. იმის მიუხედავად, რომ ეს ვარაუდი შეიძლება არც გამართლდეს, ორგკომიტეტს მაინც შემუშავებული აქვს მოსალოდნელი ფინანსური სიძნელეებიდან თავის დაღწევის საშუალებანი. კერძოდ, მიღწეულია შეთანხმება მოკლევადიან სესხზე, რომელსაც ჯორჯიის შტატის მთავრობა გაიღებს.

ატლანტის სპორტული ნაგებობანი დაახლოებით 30 მილზეა განლაგებული ქალაქის ქვედა ნაწილიდან; ამიტომ, თუ მათ რუკაზე შემოვხაზავთ, შეიკვრება ხუთი კმ დიამეტრის „ოლიმპიური რგოლი“, რომლის შუაგულშიც მოთავსებულია კონგრეს-ცენტრი. ამის მეოხებითაც იგეგმება გარკვეული ფინანსური სარგებელი. ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე გამოიყენებენ შემდეგ ნაგებობებს:.

1. ჯორჯიის უნივერსიტეტის სპორტული კომპლექსი (წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა), უნივერსიტეტის ტერიტორიაზე — ოლიმპიური სოფელი;
2. კონგრეს-ცენტრი (ბადმინტონი, ფარიკაობა, ძიუდო, მაგიდის ჩოგბურთი, ხელბურთი, ჭიდაობა);
3. „ომნი“ (ფრენბურთი);
4. „ჯორჯია დოუმი“ (მშენებლობის სტადიაშია); კალათბურთი და ტანვარჯიში;
5. ატლანტის უნივერსიტეტის ცენტრი (ბალახის ჰოკეი, წყალბურთი);
6. „სივიკ-ცენტრი“ (ძალოსნობა).
7. „ატლანტა ფულტონ-კაუნტის“ სტადიონი (კეტბურთი);
8. ოლიმპიური სტადიონი (იგეგმება); თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალი, მძლეოსნობა, საფეხბურთო ფინალები, საჩვენებელი გამოსვლები.

ატლანტის სპორტული ნაგებობანი მაყურებელთა ურიცხვ რაოდენობაზეა გათვალისწინებული: „ჯორჯია დოუმი“ — 75 ათას ადგილზე; კონგრეს-ცენტრი — 7,5 ათას ადგილზე; „ომნი“ — 17 ათას ადგილზე; „სივიკ-ცენტრი“ — 4,5 ათას ადგილზე, „ატლანტა ფულტონ-კაუნტი“ — 53 ათას ადგილზე.

ამას გარდა, ჩოგბურთელთა შეჯიბრებებს, რომლებიც ბლეკბერნ პარკში ჩატარდება, შეუძლია დაესწროს 20 ათასი მაყურებელი, სტოუნ მაუნტინში კი, სადაც ჩატარდება შეჯიბრებები ნიჩბოსნობაში, ხუთჭიდსა და ცხენოსნობაში, სპორტის სახეობის მიხედვით, მაყურებელთა რაოდენობა შეადგენს ხუთიდან 50 ათასამდე.

კომპლიმენტები არ აკლია...

თომას შტრუნცი — „ახალი ტალღის“ ვარსკვლავი

ბევრი ექსპერტი ბუნდესლიგას ვარსკვლავების სამჭედლოს უწოდებს. სწორედ იგი ამარაგებს წლების მანძილზე იტალიურ „სერია ა“-ს, ესპანეთის პირველ ლიგასა და საფრანგეთის პირველ დივიზიონს. შორს რომ არ წავიდეთ, შეგვიძლია თუნდაც ამჟამად მოთამაშე მათეუსი, ფიოლერი, კლინსმანი, ბრემე ან შუსტერი დავასახელოთ. არის სხვა აზრიც — ჰყავს კი ახლა ბუნდესლიგას ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ, ვთქვათ, ბეკენბაუერი (ასეთი საუკუნეში ერთხელ იბადებაო — იტყვიან), ზეელერი, ოვერატი, ნეტცერი, მიულერი, რუმენიგე... არა ჰყავს, მაგრამ გერმანელი მწვრთნელები ოპტიმიზმს არ კარგავენ. ისინი მიუთითებენ მოთამაშეთა მთელ ჯგუფზე, რომელმაც მალე ფეხბურთის სამყარო უნდა აალაპარაკოს, ერთ-ერთი მათგანი კი 22 წლის თომას შტრუნცი გახლავთ.

მიუნხენის „ბაიერნის“ ახლანდელი საუკეთესო ნახევარმცველი იგონებს:

— თუ გნებავთ, ყველაფერში „დამნაშავე“ პაპაჩემი გახლავთ. იგი ოდესღაც „დიუსელდორფის“ პროფესიონალი ფეხბურთელი იყო და სწორედ მან გადაწყვიტა, მეც იგივე გზას დავდგომოდი. ჯერ სიარულს ვერ ვახერხებდი რიგიანად, რომ მაშინვე ბურთი მაჩუქა.

5 წლის შტრუნცი უკვე „დიუსელდორფის“ მოზარდთა გუნდების თამაშებზე დაჰყავდათ. აქედანვე აჩვევდნენ საფეხბურთო ატმოსფეროს. 8 წლისა თვითონ თამაშობდა ამ კლუბის ბავშვთა გუნდში (რვიდან ათ წლამდე ბიჭუნებისათვის). ერთი სიტყვით, „ტომიმ“ ყველაფერზე ადრე, წერა-კითხვაზეც კი, ფეხბურთის თამაში ისწავლა.

— 13 წლისამ კლუბი გამოვიცვალე, „დუისბურგში“ გადავბარგდი.

საყურადღებოა, რომ შტრუნცს თავიდანვე მიაქციეს ყურადღება. ადრინდელმა მწვრთნელებმა ყველას ამცნეს, თუ როგორი ნიჭის ფეხბურთელს მიაგნეს და აი, ჭაბუკს სხვადასხვა დონის ნაკრებებში უხმეს.

17 წლის შტრუნცი „დუისბურგის“ ძირითად შემადგენლობაში ჩარიცხეს. იწყებოდა ბუნდესლიგის მკაცრი გაკვეთილების მიღება. ახალგაზრდა ნახევარმცველი 1990 წლამდე აპირებდა „დუისბურგში“ დარჩენას, მაგრამ... მის თამაშს ყურადღება მიაქცია მიუნხენის „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა, რომელიც თავისი კლუბის გაძლიერების გზებს ეძებდა. როცა მენეჯერმა ამ სახელოვან გუნდში გადასვლა შესთავაზა, შტრუნცი, ცოტა არ იყოს, შეყოყმანდა, — „დუისბურგთან“ კიდევ ერთ წელს მაქვს კონტრაქტიო, მაგრამ ჰიონესმა მაინც თავისი გაიტანა და 1989 წლიდან ახალგაზრდა ოსტატი ბუნდესლიგის წამყვან კლუბში აღმოჩნდა. მასში ნახევარი მილიონი მარკა გადაიხადეს. ახლა შტრუნცს უკვე ევროპულ სარბიელზე უნდა ეთამაშა — „ბაიერნი“ ხომ სისტემატურად მონაწილეობს რომელიმე ევროპულ ტურნირში, უფრო ხშირად კი ჩემპიონთა თასზე. გფრ-ის ნაკრების მაშინდელი თავკაცი ფრანც ბეკენბაუერი, რომელმაც მრავალი წელი სწორედ ამ გუნდში გაატარა, ხშირად ესწრებოდა „ბაიერნის“ თამაშებს, შტრუნცი ძალიან მოსწონდა კიდეც, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი თავშეკავება გამოიჩინა და თქვა:

— უდავოა, შტრუნცი ფრიად ნიჭიერია, მაგრამ ნაკრებში ახლავე ვერ მივიწვევთ. იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა მისთვის ჯერ ადრეა. შტრუნცის დრო მოგვიანებით დადგება — 1992 წელს, როცა შვეციაში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება.

ახლა კი ისევ შტრუნცს მოვუსმინოთ, რომელიც თვლიდა, რომ „ბაიერნში“ თავდაპირველად ძალიან გაუჭირდა:

— სტარტი შიშისმომგვრელი იყო. ტური ტურს მისდევდა, მე კი მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი. შემდეგ კი ძირითადი მოთამაშე გავხდი და, თქვენ წარმოიდგინეთ, აღარც მცვლიდნენ.

პირველივე სეზონში შტრუნცმა „ბაიერნში“ 20 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა. ამას დავუმატოთ 6 მატჩი ევროპულ ტურნირზე და 2 გოლიც, როგორც მწვრთნელი იუპ ჰეინკესი თვლიდა, დებიუტანტი ძალიან სწრაფად შეეგუა „ბაიერნის“ რეჟიმს. იგი, რა თქმა უნდა, გუნდისთვის ძვირფასი შენაძენი იყო. შეიძლება კარგიც კი იყო, რომ მას იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრება არ „ემუქრებოდა“ — საფუძვლიანად მოემზადა 1990-91 წლების სეზონისათვის, ის კი არა, დაოჯახდა კიდეც. აი, რას წერდნენ მასზე ამ პერიოდისათვის: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი პაულ ბრაიტნერი — „იგი ნამდვილი სუპერტალანტია“; გფრ-ის ახალგაზრდული ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი ბერტი ფოგტსი — „რა სალაპარაკოა, ბრწყინვალე მოთამაშეა“; „ბაიერნის“ მენეჯერი ული ჰიონესი — „შტრუნცი ახალი რიიკარდია; თვით შტრუნცი — „კარგია როცა ასეთ მოთამაშეს გადარებენ, მაგრამ, ეტყობა არც ისე კარგად ვთამაშობ“. მაინც რა ჰქონდა მას რიიკარდთან საერთო? გერმანელი ექსპერტების აზრით, ეს, უპირველეს ყოვლისა, იყო არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა.

ერთი სიტყვით, შტრუნცის შესაძლებლობები სრულად ევროპის 1992 წლის ჩემპიონატზე უნდა ვიხილოთ. მაგრამ აქვს კი გარანტირებული მსოფლიო ჩემპიონს შვეციის ფორუმში მონაწილეობის უფლება? — სრულიადაც არა! მას შემდეგ, რაც გერმანელები უელსში დამარცხდნენ, მათი მდგომარეობა საგრძნობლად გართულდა, თუმცა იმედს არ იტეხენ და თვლიან, რომ მსოფლიო ჩემპიონობას ევროპის ჩემპიონის წოდებასაც დაუმატებენ. ვნახოთ!

ბიჭი თორელი

მეთექსმეტე სვეტი

● **დასავლეთგერმანელი** ფიგურისტი ქალი კლაუდია ლაისტნერი მუდამ პოპულარობით სარგებლობდა მაყურებლებშიც და სპეციალისტებშიც. 1988 და 1989 წლებში მან სპორტული კარიერის ზენიტს მიაღწია — ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. ყინულის სარბიელს თავი რომ მიანება, გერმანელი ფიგურისტი ამერიკულმა რევიუმ „ჰოლიდეი ონ აისმა" მიიწვია. ერთხანს იგი ამ პოპულარული ანსამბლის პრიმა-სოლისტი იყო, მაგრამ ბოლო დროს ურთიერთობა სპორტსმენსა და ადმინისტრაციას შორის საგრძნობლად გართულდა. ლაისტნერმა შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი სწორი გამოსავალი ნახა — გაწყვიტა კონტაქტი ანსამბლთან. ჯერჯერობით იგი საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობს, მაგრამ გამორიცხული არ არის. რომ კერძო ანსამბლი შექმნას.

● **ევროპის** ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამარჯვების შემდეგ ერთი-ორად გაიზარდა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ფეხბურთელთა საერთაშორისო ავტორიტეტი. ამასთან დაკავშირებით კლუბის ხელმძღვანელობამ გაზარდა მომთხოვნელობა ფეხბურთელებისადმი. ამ დღეებში გუნდი ჩაიბარა ახალმა მწვრთნელმა ვლადიცა პოპოვიჩმა. 56 წლის სპეციალისტმა შეცვალა ლიუპკო პეტროვიჩი, მწვრთნელი, რომელმაც გუნდი ამ დიდი გამარჯვებისთვის მოამზადა. სხვათა შორის, პოპოვიჩი 1956-1964 წლებში თვითონ თამაშობდა „ცრვენა ზვეზდაში", ხუთჯერ იყო იუგოსლავიის ჩემპიონი და სამჯერ ფლობდა ქვეყნის თასს. უკანასკნელ დრომდე პოპოვიჩი წვრთნიდა პირველი ლიგის კლუბ „ბორაცს" (ბანია-ლუკადან).

● **ნელ-ნელა** მწიფდება პროფესიონალ ველოსიპედისტთა უკმაყოფილება, რომელიც ადვილი შესაძლებელია „აგვისტოს ბოიკოტში" გადაიზარდოს. ველოსიპედისტები მოითხოვენ ტრასების სირთულის რამდენადმე შემცირებას და უსაფრთხოების წესების მაქსიმალურ დაცვას. ეს პრეტენზიები პირველ რიგში სამ კლასიკურ რბოლას წაუყენეს — „ვუელტა ესპანიას", „ჯირო დ' იტალიას" და „ტურ დე ფრანსს". არის კიდევ ერთი დაჟინებითი მოთხოვნა: ეტაპის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 220 კილომეტრს. ამ წინადადებების შესახებ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი (უსი) აგვისტოში იმსჯელებს.

● **როგორც** იუპ-ის სააგენტოს წარმომადგენელი იუწყება, 17 წლიანი შესვენების შემდეგ აღდგება აფროსანთა ერთ დროს პოპულარული რეგატა — კეიპტაუნი — რიო-დე-ჟანეირო. ამ რბოლის სტარტი 1970 წელს შედგა და მაშინვე პოპულარული გახდა. 1976 წლამდე რეგატაში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული 126 ეკიპაჟს. მერე კი, როცა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბოიკოტს ბრაზილიაც შეუერთდა, ორგანიზატორებმა შეცვალეს მარშრუტი და ფინიში ურუგვაიში გადაიტანეს. მაგრამ ამ ახალ დისტანციას მაინც და მაინც დიდი პოპულარობა არ მოუხვეჭია. სწორედ ამიტომ, რბოლის განახლებას აფროსნობის საყმარო აღფრთოვანებით შეხვდა.

● **ოლიმპიური** ჩირაღდნის ესტაფეტაში მონაწილეობა დიდი პატივია ნებისმიერი ახალბედა სპორტსმენისათვის. ალბერვილის 1992 წლის ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა სპეციალური კონკურსი გამოაცხადეს ესტაფეტაში მონაწილეობის მსურველთათვის. კონკურსის პირობები, პირველ რიგში, ითვალისწინებს სპორტული მომზადების ხარისხსა და გარეგნობას. განსაკუთრებით ბევრი მსურველი აღმოჩნდა რონას დეპარტამენტში. აქ 51 ვაკანტურ ადგილზე პრეტენზიას აცხადებს 2 ათასზე მეტი კანდიდატი.



ბარსელონის ოლიმპიადა პლაკატებში

მოძრავი გამოფენა „ოლიმპიური პლაკატი" წარმატებით მოგზაურობს ესპანეთის ქალაქებში. მისი ექსპოზიცია მადრიდში, სევილიაში, ბილბაოში უკვე იხილა ნახევარმა მილიონმა ადამიანმა. ესპანეთის ოლიმპიური კომიტეტის აზრით, გამოფენის მიზანია ყოველი ესპანელის (და არამარტო ბარსელონელის) ყურადღება მიიპყროს სპორტული სამყაროს უდიდეს მოვლენას — ოლიმპიადა-92-ს. ოლიმპიური პლაკატების გალერეის კონკურსში მონაწილეობდა 300-ზე მეტი მხატვარი, ექსპოზიციისათვის შერჩეულია 64 გრაფიკული ნამუშევარი. ოლიმპიადა-92-ის ორგანიზატორებს განზრახული აქვთ საკონკურსო პლაკატები გააგზავნონ ყველა ქვეყანაში, რომლებიც ბარსელონის ოლიმპიადაში მიიღებენ მონაწილეობას.

„ლანჩა მარტინის" მეოთხე გამარჯვება

საბერძნეთში გაიმართა მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის მეექვსე ეტაპი ავტორალში, რომელიც „რალი აკროპოლისის" სახელითაა ცნობილი.

სუპერსპეციალური საწვრთნელი რბოლის შემდეგ ლიდერობდნენ „ტოიოტა-ჩელიკას" პილოტები: ესპანელი კარლოს საინსი და გერმანელი არმინ შვარცი. მესამე ადგილი ეკავა და ერთი წამით უკან იყო მეტოქეებზე ფრანგი დიდიე ორიოლი („ლანჩა-დელტა"), რომელსაც ასევე ერთი წამით ჩამორჩებოდნენ ფინელი მარკუ ალენი („სუბარუ-ლეგასი") და შვედი კენეტ ერიქსონი („მიცუბიში-გალანტი").

ძირითად შეჯიბრებას სპეციალისტებიც და გულშემატკივრებიც ელოდნენ რალის მეორე დღეს, ტრასაზე, სადაც ყველაზე რთული სპეციალური მონაკვეთებია. დარწმუნებული იყვნენ, რომ იხილავდნენ კვლავ იაპონური გუნდებისა და „ლანჩას" ტრადიციულ პაექრობას.

ამასობაში, იტალიური გუნდის ხელმძღვანელობაში ცვლილება მოხდა. კლაუდიო ლომბარდის ადგილი დაიკავა 48 წლის ინჟინერ-მექანიკოსმა, მარიო პეტრონიომ. იგი „ფიატის", „ლანჩასა" და „ალფა რომეოს" ახალი პასუხისმგებელი პირია. „ლანჩას" სპორტულ დირექტორად დაინიშნა ჯორჯო პიანტა, რომელიც დაუბრუნდა რალის ოთხწლიანი შესვენების შემდეგ.

„რალი აკროპოლისის" მეორე დღეს გასავლელი იყო 432 კმ სიგრძის მანძილი ლაგონისი-ერატინის მარშრუტით. ამ ეტაპზე დასაძლევი იყო სპეციალური 9 მონაკვეთი (115 კმ).

სწორედ აქ გამოჩნდა პილოტთა ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების დონე.

საინტერესოა, რომ „რალი აკროპოლისში" მსოფლიოში ცნობილ ავტომრბოლებთან ერთად იასპარეზა პილოტმა, სახელად კარლოს მენემ-უმცროსმა, არგენტინის პრეზიდენტის ვაჟმა.

„ლანჩა" შეტევაზე გადავიდა. ყველას უსწრებდნენ ორიოლი და კანკუნენი. მათ 14 წამით ჩამორჩებოდა მარკუ ალენი. მსოფლიო ჩემპიონი, ესპანელი კარლოს საინსი („ტოიოტა-ჩელიკა") მეოთხე იყო, იტალიელი მიკი ბიაზიონი („ლანჩა") კი — მეხუთე.

„ლანჩა" — „ტოიოტას" ორთაბრძოლის მაგივრად ეს იყო თანაგუნდელთა — დიდიე ორიოლისა და იუჰა კანკუნენის პაექრობა. 9-დან 4 მონაკვეთის მოგების შემდეგ ფინელი პილოტი დაწინაურდა, მაგრამ მალე გზა დაუთმო ფრანგ თანაგუნდელს.

კარლოს საინსი კი მეოთხე და მეხუთე მონაკვეთებზე შეაფერხეს მოტოციკლით მოგზაურმა და ავტოტურისტმა.

რალის მესამე დღეს გასავლელი იყო 589 კმ სიგრძის ტრასა, რომელიც გადიოდა ერატინიზე და მოიცავდა სპეციალურ 21 მონაკვეთს (260 კმ).

ამ დღეს კიდევ ერთი სიურპრიზი მოხდა — დაწინაურდა კარლოს საინსი. მას, შესაბამისად, 21 და 23 წამით და 2 წუთით და 52 წამით ჩამორჩებოდნენ „ლანჩა დელტა ინტეგრალეს" პილოტები — იუჰა კანკუნენი, დიდიე ორიოლი და მიკი ბიაზიონი. კვლავ „ლანჩა" — „ტოიოტას" ორთაბრძოლა გაჩაღდა.

წინა დღით ულმობლად ჩატარებული რბოლის შემდეგ საინსი შეტევაზე გადავიდა. „ლანჩა" ძვირფას წამებს კარგავდა. პირველად ასპარეზობის გამოეთიშა ორიოლო, შემდეგ დაშვებული საბურავების გამოცვლაში 30 წამი დაკარგა იუჰა კანკუნენმა.

თითქოს „ტოიოტას" თავისუფლად უნდა გაევლო დარჩენილი მანძილი, მაგრამ ახლა მას გადაეღობა „მიცუბიში", რომელსაც კენეტ ერიქსონი მართავდა. წინა დღით იგი 8 წუთით ჩამორჩა და ახლა დაკარგული დროის ანაზღაურებას ცდილობდა.

შეჯიბრების ბოლო დღეს გასავლელი იყო 692 კმ სიგრძის მანძილი სპეციალური 16 მონაკვეთით (216 კმ). მარშრუტი გადიოდა ერატინსა და ათენს შორის.

„რალი აკროპოლისის" 38-ე გათამაშება, რომელიც იყო კონსტრუქტორთა ასპარეზობის მეხუთე ეტაპი და პილოტთა შორის მეექვსე, საერთოდ კი, მსოფლიო ჩემპიონატის მეექვსე ეტაპი, დასრულდა „ლანჩა მარტინის" და მისი ბრწყინვალე პილოტის, ფინელი იუჰა კანკუნენის ტრიუმფით. გამარჯვებულის ავტომობილს მთელი დღის მანძილზე კვალში ედგა და პართენონთან თითქმის დაეწია მსოფლიო ჩემპიონის, ესპანელი კარლოს საინსის „ტოიოტა".

ჯორჯო პიანტა, „ლანჩას" ახალი ხელმძღვანელი, აღტაცებას ვერ ფარავდა. ოთხწლიანი შესვენების შემდეგ იგი ტრიუმფით დაუბრუნდა რალში მსოფლიო ჩემპიონატს. მან მადლობა გადაუხადა ყველას ავტომრბოლებს, მექანიკოსებს, ტექნიკოსებს, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ დაემარცხებინათ „სუპერ"-საინსი და კენეტ ერიქსონი.

„რალი აკროპოლისის" საბოლოო შედეგი: 1. იუჰა კანკუნენი — იუჰა პიირონენი (ფინეთი, „ლანჩა — მარტინი") — 7 საათი, 20 წუთი, 05 წამი; 2. კ. საინსი — ლ. მოია (ესპანეთი, „ტოიოტა-ჩელიკა") — ჩამორჩა 1 წუთით და 01 წამით; 3. მ. ბიაზიონი — ტ. სივიერო (იტალია, „ლანჩა მარტინი") — 3 წუთით და 30 წამით; 4. დ. ორიოლო — ბ. ოჩელი (საფრანგეთი, „ლანჩა-ჯოლი ფინა") — 4 წუთით და 42 წამით; 5. ა. შვარცი — ა. ჰერცი (გერმანია, „ტოიოტა-ჩელიკა") — ჩამორჩა 5 წუთით და 35 წამით.

პირადი ჩათვლა: 1. კარლოს საინსი — 75 ქულა; 2. იუჰა კანკუნენი — 58; 3. დიდიე ორიოლი — 4[illegible]; 4. მასიმო ბიაზიონი — 39; 5. კენეტ ერიქსონი — 23.

კონსტრუქტორთა პირველობა: 1. „ტოიოტა" — 94; 2. „ლანჩა" — 91; 3. „ფორდი" — 28; 4. „სუბარუ" — 20; 5-6. „ნისანი", „მაცუდა" — 12-12.

დავით ჩუბინიძე

ჭადრაკი ეროვნული კულტურის ნაწილია

ასე ფიქრობს აშშ-ის საჭადრაკო ფედერაციის ახალი პრეზიდენტი მაქსიმ დლუგი. იგი 24 წლისაა. ბავშვობაში მოსკოვში ცხოვრობდა და ჭადრაკში სამეცადინოდ დადიოდა ერთ-ერთ რაიონულ პიონერთა სასახლეში, სანამ მისი მშობლები ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდებოდნენ.

როგორც ახალმა პრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, აშშ-ის საჭადრაკო ფედერაციამ ხელი უნდა აიღოს ჭადრაკისადმი ძველებურ მიდგომაზე და „ჭადრაკი ეროვნული კულტურის ნაწილად აქციოს". ეს, მისი აზრით, პირველ რიგში, ჭადრაკის სასკოლო პროგრამებში შეტანით უნდა გამოიხატოს.

გაამართლებს თუ არა?

ინდოელებს რომ ჰკითხოთ, პერსპექტიული მოჭადრაკე ანანდი, რომელიც ახლა 21 წლისაა, ადრე თუ გვიან მსოფლიო ჩემპიონი გახდება. „ჰინდუსტან ტაიმსის" მიმომხილველის აზრით, ეს არც შეიძლება სხვანაირად მოხდეს, რადგან ინდოეთი ხომ ჭადრაკის სამშობლოა.

სულ ორი წლის წინ ინდოელი მოჭადრაკეები, შეიძლება ითქვას, სერიოზული წარმატებებით ვერ დაიკვეხნიდნენ. ისინი სინანულით იგონებდნენ იმ დროს, როცა მირ სულთან-ხანი, ინდოელი მოჭადრაკე, 1930-31 წლებში დიდი ბრიტანეთის ჩემპიონი გახდა. ამას ჩავარდნის პერიოდი მოჰყვა, რომელიც ძალიან დიდხანს გაგრძელდა.

მართლაცდა, გახდება ანანდი მსოფლიო ჩემპიონი? იგი დაიბადა ინდოეთის ქალაქ მადრასის გარეუბანში. დედამისი, სუშილა, როგორც „ჰინდუსტან ტაიმსი" იუწყება, ჭადრაკის თავგამოდებული გულშემატკივარი იყო და შვილსაც სწორედ მან შეაყვარა ეს თამაში. 13 წლის ანანდმა მოუგო ცნობილ ინდოელ ოსტატ აარონს, რომელმაც 1960 წელს ლაიფციგის ოლიმპიადაზე მსოფლიო ექსჩემპიონ მაქს ეივეს სძლია, 15 წლისა უკვე საერთაშორისო ოსტატი იყო, საოცრად სწრაფად იზრდებოდა და ბევრჯერ გამოიჩინა თავი ბლიცტურნირებში.

ვნახოთ!

მარადონა — პატიმარი?

არგენტინის ფედერალურმა სასამართლომ განიხილა ფეხბურთელ დიეგო მარადონას საქმეში არსებული მასალები და შესაძლებლად მიიჩნია წამოაყენოს ბრალდებები მის მიერ ნარკოტიკების შენახვის თაობაზე. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, თუ დიეგო მარადონას ბრალდება დაუდასტურდა, მას ორი წლით პატიმრობა ელის.

მოსამართლე ამელია ბერას დე ვიდალი უახლოეს ხანებში განიხილავს დიეგო მარადონას წინააღმდეგ არსებულ ბრალდებას ნარკოტიკების არა შენახვის, არამედ გასაღების თაობაზე, ეს მუხლი კი 12 წლამდე პატიმრობას გულისხმობს.

◆

ოცდამესამე ნოკაუტი

რომი. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იტალიის დედაქალაქიდან იუწყება, ქვემძიმე წონის ამერიკელმა პროფესიონალმა მოკრივემ ჩარლზ უილიამსმა მშვიდად შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ამჯერად 29 წლის მოკრივემ დამაჯერებლად მოუგო თანამემამულეს ვინსენტ ბოულარეს. იტალიის საკურორტო ქალაქ სან-რემოში გამართული ორთაბრძოლა შეწყდა მესამე რაუნდში, მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ჩემპიონმა ნოკაუტში გაგზავნა მეტოქე. შეგახსენებთ, რომ ჩარლზ უილიამსი მსოფლიოს ჩემპიონია მოკრივეთა საერთაშორისო ფედერაციის (იბფ) ვერსიით.

ჩემპიონს პროფესიულ რინგზე 32 შეხვედრა აქვს მოგებული, მათ შორის 23 — ნოკაუტით.

რედაქტორი
თენგიზ ბაჩეჩილაძე

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. გელაშვილი, კორექტორი მ. ძიძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 99-97-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.